

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა საავტომობილო გზების, ორმული შეკეთების სამუშაოების შესყიდვა ელექტრონული ტენდერის მეშვეობით შესყიდვაზე გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სატენდერო კომისიის სხდომა

## ოქმი №1

ქ. სამტრედია

15 მარტი 2021 წელი

### სხდომას ესწრებოდნენ:

1. ვალერიანე ფოცხვერია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი - კომისიის თავმჯდომარე;
2. გრიგოლ დალაქიშვილი - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
3. დავით ბაღდავაძე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
4. მედეა ლეჟავა - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
5. ნიკოლოზ სანაძე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
6. ოთარ თევზაძე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ტერიტორიის კეთილმოწყობის საკითხებში - კომისიის წევრი;
7. ირინა ფოცხვერია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის აპარატის წევრი;
8. ტიტე ბარამიძე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის აპარატის წევრი.
9. ია ხოშტარია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - კომისიის აპარატის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა - ზურაბ გოგია - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;

### დღის წესრიგი:

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა საავტომობილო გზების, ორმული შეკეთების სამუშაოების ელექტრონული ტენდერის მეშვეობით შესყიდვაზე გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა.

### განხილვა:

სატენდერო კომისიის აპარატის წევრმა ირინა ფოცხვერიამ წარმოუდგინა სატენდერო კომისიას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა საავტომობილო გზების, ორმული შეკეთების სამუშაოების სატენდერო დოკუმენტაცია ღირებულებით 57332 ლარი, დ.დ.გ-ს გარეშე, კლასიფიკატორის (CPV) კოდი 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები, 45262600 - სხვადასხვა სახის სპეციალური სამშენებლო სამუშაოები.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა საავტომობილო გზების, ორმული შეკეთების სამუშაოების ელექტრონული ტენდერის მეშვეობით შესყიდვაზე, გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სატენდერო დოკუმენტაცია.

2. გამოცხადდეს აღნიშნული ტენდერი საწყისი ფასით 57332 ლარი, დ.დ.გ-ს გარეშე, კლასიფიკატორის (CPV) კოდი 45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები, 45262600 - სხვადასხვა სახის სპეციალური სამშენებლო სამუშაოები..

3. კომისიის აპარატმა უზრუნველყოს დამტკიცებული სატენდერო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსება ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე:

ვალერიანე ფოცხვერია

კომისიის თავმჯდომარის  
მოადგილე:

გიორგი დალაქიშვილი

კომისიის წევრები:

დავით ბაღდავაძე

ნიკოლოზ სანაძე

მედეა ლეყავა

ოთარ თევზაძე

სატენდერო კომისიის  
აპარატის წევრები:

ირინა ფოცხვერია

ტიტე ბარამიძე

ნა ხოშტარია